№ 213

კვირა, 1 ოქტომბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 213

კვირა, 1 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

აწყობილის ნომრის ბეჭდვის დროს დაჴნევისა გამო ეს ნომერი ნახევარ ფურცლად გამოდის.

---

**თავადი კონსტანტინე მალაქიას ძე და კნეინა ანასტასია გიორგის ასული გურიელნი**, აცნობებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის გამოთხოვება ასულის მათის კნიაჟნა

**ელენე კონსტანტინეს ასულის გურიელისა**

დანიშნულია თოთხმეტს მომავალს ოქტომბრისათვის, სთხოვენ მობრძანდნენ სასაფლაოზედ ს. შემოქმედს უკანასკნელ გამოთხოვებისათვის. (3—1)

---

ხუთშაბათს, **5** ოქტომბერს, თავად-აზნაურთა თეატრში დაიწყებს წარმოდგენების გამართვას დრამატიული დასი პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების არტისტის

**მ. ვ. დალსკისა**

---

**სკოლა და პანსიონი**

**ა. მამულაიშვილისა**

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა, (10—188—6)

---

## ახალი ამბავი

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე გუშინ-წინ, 29 სექტემბერს, საქართველოს სამხედრო გზით რუსეთს წაბრძანდა.

*** უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ ქალაქის საბჭოთა დადგენილებანი მხოლოდ მაშინ შეუძლიან წარუდგინოს მინისტრთა კომიტეტს შინაგან საქმეთა მინისტრმა, როდესაც ეს დადგენილებანი ორ კვირაზედ შეუყენებია გუბერნატორსაო.

*** სამშაბათს, 3 ოქტომბერს, ტფილისის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის თვით-მართველობის შტატების გადათვალიერების საქმე.

*** ორშაბათს, 2 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს სულ 24 საქმე. ამ საქმეთა შორის ისეთებიც არის, რომელთა განხილვისათვის საჭიროა არა ნაკლებ 40 ხმოსნის დასწრება. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის გამგეობის 1896 და 1897 წლის მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიის წარმოდგენილს ანგარიშს; ქალაქის მოწყობა-მომართვის შესახებ ქალაქის სავალდებულო დადგენილებათა პროექტს; ლოტკის გორის მცხოვრებთა შუამდგომლობას ხიდის გაკეთების შესახებ და სხვანი.

*** ამას წინადა ვწერდით, რომ პეტერბურგელი მხატვარი ბ-ნი კანდაუროვი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, ტფილისში სამხატვრო სკოლა დაარსდესო. ეხლა, როგორც „Сѣв. Курьеръ“-ი სწერს, მთავრობას ნება დაურთავს და გარდაუწყვეტია კიდეც სკოლის შესანახად საჭირო თანხა მიეცეს.

*** საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ პირველ-დასაწყის სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც სამასწავლებლო სემინარიებში ყოფნის დროს სახაზინო სტიპენდიებისათვის გადაჭრილ ვადამდე არ უმსახურნიათ შემდეგ, მხოლოდ ის ფული-ღა უნდა გამოერთვათ, რა ხანსაც არ იმსახურეს და თავი დაანებეს მასწავლებლობასაო.

*** უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ კერძო კაცებმა, საზოგადოებამა და დაწესებულებამ მხოლოდ მაშინ უნდა მიჰმართონ გუბერნატორს, როდესაც ქალაქის საბჭომ თავისს დადგენილებით დაარღვია მათი უფლებანი, მაგრამ ეს დადგენილება ჯერ ძალაში არ შესულაო. მაგრამ ამ შემთხვევაში გუბერნატორს უფლება არა აქვს არც იმისი, რომ ეს მათი საჩივარი თავისით გადასწყვიტოს და არც იმისა, რომ უარი უთხრას საქმის გარემოება და საჩივარი შინაგან საქმეთა მინისტრს ან საგუბერნიო საკრებულოს ეცნობოსო.

*** სენატსავე განუმარტავს, რომ ლუდხანები, სადაც მხოლოდ ცივი საუზმეულობა ისყიდება, არ შეიძლება სატრაქტირო სამრეწველოებში იქმნას ჩარიცხული და სატრაქტირო გარდასახადი შეეწეროსო.

*** უმართებულესის სენატის განმარტებით, ებრაელთა შვილებს ნება ეძლევათ სურვილისამებრ ყველა სასწავლებელში შევიდნენ, თუ რომ მათს მშობლებს ნება აქვთ თავისს მუდმივ საცხოვრებელ ადგილის გარეშეც იცხოვრონ. დღემდის-კი მხოლოდ იმ გუბერნიებში აძლევდნენ სასწავლებელში შესვლის ნებას, სადაც მშობლები სცხოვრობდნენ. ეჭვი არ არის, სენატის ამ ახალის განმარტებით ებრაელებს დიდი შეღავათი ეძლევათ.

*** გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ტფილისში საბერძნეთის კონსულის თანამდებობა იქმნეს დაარსებული.

*** სოფ. ანაგის (სიღნაღის მაზრა) სასოფლო-სამკურნალოში ბ-ნი გძელიშვილი მიუწვევიათ. გძელიშვილმა ამ ორის წლის წინად დაამთავრა სწავლა იურიევში.

*** გუშინ-წინ პეტერბურგს წავიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი ბ-ნი ვედენეევი.

*** რადგანაც კავკასიის რკინის გზებზედ მუშათა რიცხვმა შესამჩნევად იკლო ამ ბოლოს დროს, აღნიშნულ გზების უფროსს მიუმართნია სათანადო მთავრობისათვის, რომ ჯარის-კაცთ, რომელთაც სამსახურის ვადა წრეულს უთავდებათ და რომელთაც დურგლობა, ზეინკლობა, მჭედლობა და სხ. იციან, ან და სამხედრო სამსახურში შესვლამდე რკინის გზის მემანქანეთა თანაშემწისა და „კოჩეგრების“ ადგილზედ უმსახურნიათ, რკინის გზებზედ მიიღებენ სამსახურში.

*** პარიჟიდგან სწერენ „ცნობის ფურცელს“, რომ პატრს მიხეილ თამარაშვილს, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია რომის არქივებში საქართველოს და კერძოდ ქართველ კათოლიკების ისტორიულ მასალებს ეძებს, აღმოუჩენია რამდენიმე წერილი ჩვენის ლექსიკოგრაფის საბა-სულხან ორბელიანისა და მრავალი წერილები საქართველოს მეფეთა. ამ ჟამად მამა მიხეილი პარიჟის ნაციონალურ წიგნთ-საცავში მუშაობს თურმე იმავე აზრით. ჩვენ შემთხვევა გვქონდაო, სწერს კორესპონდენტი, გვენახა ნაშრომი მამა მიხეილისა. როცა დაიბეჭდება, ორი მოზრდილი ტომი გამოვა. სასურველია, ჩვენი საზოგადოება დროითვე შეუდგეს იმის ზრუნვას, თუ რა ფულით უნდა გამოიცეს ეს კაპიტალური შრომა, რადგანაც ერთი კაცისათვის ძნელია მისს ხარჯს გაუძლოსო.

*** როგორც იმავე გაზეთსატყობინებენ, პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ წარგენილ ექსპონატებისათვის ოქროს მედლით დაუჯილდოვებიათ დავ. ზ. სარაჯიშვილი და ტფილისის მოვაჭრე (ოლგას ქუჩაზე) ნიკოლოოზ სესიაშვილი ვერცხლის მედლით კახურ ღვინოებისათვის.

*** როგორც იგივე გაზეთი სწერს, პარიჟში ამ ჟამად იბეჭდება ფრანგულს ენაზედ მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, შედგენილი პროფესორის ალ. ხახანაშვილის მიერ. ამ წიგნს ჩართული აქვს პარიჟში ამოჭრილი სურათები ჩვენთა ისტორიულთა პირთა და აგრეთვე თანამედროვე მწერლებისა. განზრახული ჰქონდათ დაებეჭდათ აგრეთვე აღწერა ჩვენებურის სახალხო მკურნალობისა, მუსიკისა და კანონმდებლობისა, მაგრამ სხვა და-სხვა მიზეზისა გამო ეს სამივე განყოფილება მეორე წიგნში იქმნება მოთავსებული, რომელიც მომავალს წელს უნდა დაიბეჭდოსო.

*** გაზ. „ტფილ. ფურცლის“ სიტყვით, ს. ბაკურციხის სასოფლო სამკურნალო დროებით ს. ქოდალოში გადაუტანიათ, რადგანაც ამ სოფელში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა მეტად გავრცელებულა.

*** წელს ალექსანდრიის სატყეო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა, სხვათა შორის, ერთმა ქართველმაც სოლომონ ქურდოვანიძემ. როგორც გვატყობინებენ, ბ-ნი ქურდოვანიძე ინსტიტუტშივე დაუტოვებიათ, რათა საპროფესორო კათედრის დასაჭერად მოემზადოს.

*** საქალაქო ვერის მესამე სკოლის გამგემ ქ-ნ ა. ჩიჩიბაიამ შეატყობინა ტფილისის საერო სკოლების ინსპექტორს, რომ ჩემ ტფილისში არ-ყოფნის დროს ამ სკოლის შენობის პატრონს დაუწყვია ახალი შენობა და სკოლის ეზო ისე დაუვიწროებია, რომ ყოვლად შეუძლებელია ბავშვების გაკვეთილების შემდეგ გამოყვანა, მით უმეტეს, რომ საშინელი ცუდი სუნი სდგას ეზოში იქვე თვეობით გაუწმენდელ ფეხის-ალაგებისაგანაო. ახალის შენობით სრულიად დაუბნელებია სკოლის მესამე განყოფილება, სადაც სწავლა სრულიად შეუძლებელია. საზოგადოდ მუშების ხმაურობა, ეზოში დამდგარი ტალახი, ურმების ხრაგახრუგი და სხვა ავიწროებს სკოლასაო. საერო სკოლების ინსპექტორმა შეუთვალა ქალაქის სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარეს, ღონისძიებანი იხმარეთ, რომ ამ სკოლას ეს ხელის-შემშლელი მიზეზებიააშოროთო.

*** ჩვენ მივიღეთ ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ ამა წლის 28 და 29 მაისს მუშტაიდში გამართულ სახალხო სეირნობისა და ბაზრობის შემოსავალ-გასავლისა.

შემოსულა ბაღში შესასვლელი ბილეთების გასყიდვით 1050 მან; ნივთების გასყიდვით 1897 მან. 64 კ., კონფეტის, სათამაშოებისა და ფონოგრაფის შემოსავალი ყოფილა 270 მან. და შემოწირულებანი 314 მან; სულ, 3531 მან. და 64 კ.

აქედგან დახარჯულა: ნივთების შეძენასა და დამზადებაზე, 1026 მან. 05 კ; მუსიკის ორ ხოროზე 110 მან; ზურნაზე 10 მან; განათებაზე 45 მან; განცხადებასა და აფიშებზე 68 მან. 30 კ; მარკებზე 90 მან; ფონოგრაფსა და სათამაშოებზე 34 მან; პოლიციელებს საჩუქრად 40 მან; ბაღის ქირა 100 მან. და სხვ. 85 მან. და 45 კ; სულ 1608 მან. 80 კ.

წმინდა შემოსავალი ყოფილა 1922 მან. და 84 კ.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა თავისს მოვალეობადა სთვლის უღრმესი მადლობა გამოუცხადოს ყველას, ვინც-კი დახმარება აღმოუჩინა სეირნობისა და ბაზრის გამართვაში ნივთებისა და ფულის შემოწირვით, გაზეთებში უფასოდ განცხადებათა დაბეჭდვითა და პირადის შრომით.

---

## იმერეთის საქმეები.

კიდევ ერთი კენჭის ყრა დამთავრდა ქუთაისში.

ქუთაისის „კენჭის ყრა“-კი მშვენიერი სარკეა ჩვენის ცხოვრებისა. თუ სადმე გინდათ ნახოთ, როგორა სცხოვრობს ქართველი ერი, რა აზრი და გრძნობები ტრიალებს ამ ერში, ქუთაისის კენჭის ყრას დაესწარით ხოლმე. კარგი მხნე კაცი კი უნდა იყო, მტკიცე ხასიათისა და მხნეობით აღსავსე, რომ ამ კენჭის ყრას გაუძლო და, თუ გაუძელი, მერმე კიდევ კაცად გამოდგე.

ეჰ, ეგ ხომ იმერეთიაო, შეიძლება სთქვას ქართლელმა მკითხველმა, მაგრამ, საუბედუროდ, მას შემდეგ, რაც იმერეთი ქართლ-კახეთს გვირაბით შეუერთეს, ტფილისის კენჭის ყრაც სცდილობს და კიდეც ახერხებს ქუთაისისას დაემსგავსოს. მადლობა უფალს, რომ წრევანდელი „შავის ქვის მწარმოებელთა“ კენჭის ყრა დამთავრდა „კალისტრატიზმისა“ და მისის იდეოლოგის „მესამე დასის“ სამარცხვინო დამარცხებით, მაგრამ სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ ამ ახალს საქმეშიაც იჩინა თავი ჩვენმა დამღუპველმა სენმა. თავად-აზნაურთა კრებები თუ ხანმოჰქმულია, ახლად აღმოცენებულსა და მომავალის მქონე კლასს და მისს პროგრესსიულ ნაწილს მაინც უნდა ეტყობოდეს სიმრთელე და ჯან საღობა, განხრწნილება არ უნდა ემჩნეოდეს და შმორის სუნი არ უდიოდეს. თავში საცემი ის არის სწორედ, რომ ჩვენი ერის ყველა ნაწილი და ყოველი კლასსი და წოდება გადაგვარების ნიშნებს გვაჩვენებს და სასო-წარკვეთილებასა და უნუგეშობას გვიბადებს „კალისტრატიზმი“ პროგრესიულ დემოკრატიულ დასთან შეერთებული, ხელი ხელს გადაბმული, გამძვინვარებული და გაავთრებული, ებრძოდა შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზდანოვიჩს. მართალია „პროგრესიული“ დასი კეთილმორწმუნეთა გუნდს თვალებს უხვევს და თავს ბრუს ასხამს სხვა-და-სხვა დალეჭილისა და გადალეჭილის ლოთაიებით; ხოლო ის, ვისაც საქმე საინტერესოდა აქვს, დაეკითხება სხვას და თვით საქმეს გამოირკვევს, რით გამოიწვია ასეთი წინააღმდეგობა ბ ნმა ზდანოვიჩმა? პირველი მომაკვდინებელი მისი ცოდვა ის გახლავთ, რომ „კალისტრატიზმს“ ეომება სიტყვითა და საქმით და მეორე მისი დიდი დანაშაული „უმძიმეს პირველისა“ ის, რომ „პროგრესიულ-დემოკრატიულად“ წოდებულ დასის მოძღვრის წინაშე მუხლი არ მოიყარა და „რაბბი, რაბბი, თაყვანსა გცემო“ არ შესძახა. ის კი არა, ერთობ უკმეხადაც მოეკიდა — „ვინა ბრძანდებით, საიდგან მობრძანდით და სად მიბრძანდებითო?“ ასეთის კითხვით მიჰმართა. ეს არის დანაშაული ბ-ნ ზდანოვიჩისა, სხვას ვერას იპოვით ისეთს, რომ გვიხსნიდეს გაავთრებას პროგრესიულ დემოკრატიულად ქცეულ „კალისტრატიზმისას“. და განა ეს ორი დანაშაული ბ-ნ ზდანოვიჩისა საკმაო არაა, რომ შეეძრა „კვალისა“ და ქუთაისის ბანკის ჭერი და იატაკი

და მათში შეფარებული პროგრესიული დასი ძლიერად ამხედრებულიყო. ამას ზედ დართეთ პატრიარხის ანდერძი და „ინდექსი" დღეულოთ, რომელთა რიცხვში ბ-ნი ზდანოვიჩიც მოქცეულა, და მაშინ საკმაოდ მიხვდებით მთელს მეხანიზმს წრეგადულის კენჭობის ბრძოლისას.

ყოველი კაცი და დასი, რომელსაც საინტერესოდ აქვს საქმე და დღე აზრი საქმისა, — გამოირკვევა დანაშაულს საქმისას და მისს თავმჯდომარის ბ-ნ ზდანოვიჩისას, მის ცოდვებს, და თუ დაინახავდა, რომ ის ცოდვები მომაკვდინებელია, რასაკვირველია, ბ-ნ ზდანოვიჩს განძევებდა და მოსძებნიდა ისეთ კაცს, რომელსაც შეეძლო მისის ნაკლის გასწორება და საზოგადოების ინტერესების უკეთესად დაცვა. ყოველს დასს პროგრამმა აქვს გამორკვეული და ამ პროგრამმის მიხედვით ირჩევს ახალს კაცს, რათა უკეთესად წაიყვანოს საქმე. ორისა თუ სამის კვირის ლაყბობამ ვერა გაგვაგებინარა; რა დანაშაული მიუძღოდა ბ-ნს ზდანოვიჩს და ვერ გვამცნო, რა ახალის პროგრამმის მიმდევარნი იყვნენ „კალისტრატოზმის" ბელადები.

დასასრული-კი ისეთი გამოვიდა, რომ მგონი თვითაც სცხვენიანთ თავისის ნამოქმედარისა. ბ-ნს ზდანოვიჩს წინ წამოუყენეს ბ-ნი კალატოზოვი. ვინ არის ეს ბ-ნი კალატოზოვი, რა არის, რა აზრისა და გვემის განმახორციელებელია — არავინ იცის. უთუოდ საქმის გარეშე მოსაზრებით იხელმძღვანელა „რეალურ პირობათა და ინტერესთა შემეცნებელმა დასმა" და ქუთაისის კენჭი ყრის „ეკონომიურ მატერიალისტურ" თავისვე მიიღო უმთავრესად საზეთი. არ მესმის, საიდან გამოსძებნეს ეს ბ-ნი კალატოზოვი, რა დამოკიდებულება აქვს „მავის ქვის" წარმოებასთან, მაგრამ ერთადერთი იდეალი გაკალისტრატებულის დემოკრატიულის დასისა ის იყო, რომ ბ-ნი ზდანოვიჩი გადაეყენებინათ და ვინც უნდა დაენიშნათ, სულ ერთი იყო მისთვის.

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ახალს საზოგადოებაში მომხრეთ ნახევარზედ სულ ცოტა ნაკლები ხმა იშოვა ამგვარის პრინციპებით და საქმის სიყვარულით აღვსილმა დასმა. რისი მომასწავებელია ეს, თუ არ ჩვენის ერის განხრწნილებისა და გადაგვარებისა. სულ თავდაუვიწყ, მართალია, ბ-ნი ნ. ნიკოლაძე დაასახელეს ბ-ნ ზდანოვიჩის ადგილზედ. ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგი აბა ვინ რა უნდა ჰქონდეს. ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ნიჭი, გამოცდილება და მხნეობა ცნობილია და განთქმული. სინიდისისა და გონიერებისათვის უნდა ეღალატნა კაცს, რომ ბ-ნ ნიკოლაძის წინააღმდეგ რამე ეთქვა; მაგრამ განა მისი კანდიდატურა იმისთვის იყო განცხადებული, რომ იმისს ღირსებებს აფასებდნენ. — არა, მხოლოდ იმიტომ დაასახელეს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, რომ ბ. ზდანოვიჩი რამენაირად განედევნებინათ და ის ვაჟბატონები, რომელნიც სასიკვდილოდ დასდევდნენ და საქვეყნოდ ბიაბრუდ ხდიდნენ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს, დღეს დღეშაზედ დღეშით მოსვენებას არ აძლევდნენ, მოდი და დაგვიჯერე. ბ-ნ ნ. ნიკოლაძე ისე მოიქცა, როგორც მის გონიერ ვონებას და მის საზოგადოებრივ გრძნობებს შეეფერებოდა: მადლობა შესწირა პატივისცემისთვის და უარი განაცხადა დაგებულ მახეში თავის გაბმაზედ.

ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მოქმედებაში ვხედავთ ჩვენ იმ კრებების ერთადერთ სასიამოვნო მოვლენას, რომელსაც ჩვენის დღევანდელის ქვეყნისათვის საზოგადოებრივი ღირსება აქვს. ბ-ნ ნიკოლაძემ თავისი სახელი და პატივი არ გაახვია ფარისეველთა და მწიგნობართა ხელში საქვეყნო ხელისუფლებისა და ძირი მოუსპო ინტრიგანულ ხრიკებს.

ვაშა და ვაშა ბ-ნს ნიკოლაძეს, რომ პესნიებსა, ჯამბაზობას და პირად გამორჩენას საზოგადოებრივი მართლმსაჯულება არჩია.

ჩვენ კადრავთ „პროგრესისულ დემოკრატიულ დასს"-კი კარგი შთაბეჭდილება მოხვდა ბ. ნ. ნიკოლაძის მოქმედებით და, დაე, ვანისევნენ „კალისტრატიზმის" ჰორიზონტი, საიდუმლოს მისი ამოთრეული არის შიუდ ლიან.

კიტა აბაშიძე.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** არეულობა სამხრეთ ჩინეთში თანდათან იზრდება. ამ ბოლოს დროს არეულობანი კანტონის ზღვისპირიდგან მდინარეების სი-კიანგის ზე კიანგის და ტუნ კიანგის მიდამოებშიაც გადაედო. კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთ ჩინეთის ზღვის ნაპირების მახლობლად მდებარე ადგილებში მოჰრიგეებმა დაჰქვეს მრავალი სოფელი და პროტესტანტების მისიები. აჯანყების ბრძოლა დასავლეთით შიდა ადგილებში. ტუნ კიანგის ნაპირებზე ... ჩინელ ქრისტიანებს, რომელნიც აბრეშუმით ვაჭრობენ. ამ ადგილებში ზვერი მდინარეა. ... — ამ ბოლოს დროს ... 144 ზარბაზანი, 26 დრომა და 1,200 ფუთი თოფის წამალი. ამას გარდა რუსეთის ჯარის მრავალი თოფი და ტყვია ნაპოვნ ხელთ.

**შეერთ. შტატები.** ... ლემა უკვე გაიარეს, რომ ამას წინად სასტიკმა გრიგალმა ქარმა დიდი უბედურება მიაყენა მთელ ტეხასის ოლქს და განსაკუთრებით ქალაქ გალვესტონს. მეორე დღეს გაზეთებმა გამოაქვეყნეს, რომ გრიგალისაგან 2400 კაცი დაიღუპაო. ხალხმა გაზვიადებულად ჩასთვალა ესა და იფიქრა, უთუოდ 1000 კაცზედ მეტი არ არის დაღუპულიო. მაგრამ შემდეგ თანდათან გამოირკვა, რომ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მეტია. ეხლა, როგორც რეპორტიორების მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, გალვესტონში 5000 კაცამდე დაღუპულა, ხოლო მთელს ტეხასში — 10,000 კაცამდე. მაგრამ უბედურება ამით არ გათავდა: აუარებელი ხალხი უსახლ კაროდ არის დარჩენილი და შიმშილით იხოცება. მარტო გალვესტონში რამდენიმე ათასმა კაცმა მთელი თავის ქონება და შეძლება დაჰკარგა. ზარალი ამ ქალაქს 30,000,000 მანეთისა მოუვიდა. ქუჩებში ასობით დაწანწალებენ მშიერმწყურვალნი, კონკებსა და ძონძებში გახვეულნი. სამწუხაროდ ისეთნიც აღმოჩნდნენ, რომელთაც მოისურვეს იმის შევსება, რაც გრიგლმა ქარმა დააკლო მცხოვრებთ: მძარცველნი და ქურდ-ბაცაცნი კალიასავით მოედვნენ ქალაქებს. სხვათა შორის გალვესტონში ერთი ქურდი დაიჭირეს, რომელსაც ჯიბეში 20 მოჭრილი თითი უპოვნეს, ძვირფასის ბეჭდებით შემკული. ყველა ამას ზედ დაერთო ხასხი სენი და ჭირი. ამერიკელები გულ-მხურვალედ შეუდგნენ შემოწირულების შეკრებას. უთვალავი მატარებლები გაისტუმრეს ტეხასისაკენ, სურსათითა და ტანისამოსით დატვირთული. განსაკუთრებით დიდი მუყაითობა გაზეთების რედაქციებმა გამოიჩინეს. უკვე გაგზავნილ სურსათსა და ტანისამოს გარდა რამდენიმე მილიონი მანეთი ფულად მოუკრებიათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მეტად სამწუხარო ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორის ნიკოლოზ გერცენის შესახებ. ეს გერცენი შვილია რუსეთის ცნობილ მწერლის და აგრეთვე პროფესორის გერცენისა. ამ რამდენისამე კვირის წინად პროფესორმა გერცენმა შეირთო იტალიელი ქალი ელენე კონჩიოტი. ჯვარის-წერის შემდეგ სადილი ნიკ. გერცენის მამის ოჯახში გამართეს. სალამოზედ პროფესორი მეუღლითურთ თავისს სადგომში წავიდა. მეორე დღეს მოსამსახურე შესულა ახლად ჯვარდაწერილთან საუზმეზედ დასაძახებლად სასტუმრო ოთახში და გერცენი და იმისი მეუღლე-კი გონება წასული უნახავს. როგორც აღმოჩნდა, ჯონ გერცენს გაზის რქა ცუდად ჩაუქრია (სახლი გაზით ყოფილა განათებული), ოთახი გაზით გავსილა და ქალს გული შეჰღონებია. ქმარი ამ დროს იქ არა ყოფილა; როდესაც შესულა, იმასაც წასვლია გული და იქვე იატაკზედ წაქცეულა. თვით გერცენი როგორც იქნა მოუყვანიათ გონს, მაგრამ იმისი ცოლი-კი გარდაცვლილა.

* * *

ამას წინად სენ-ბერნარში ძეგლი დაუდგეს ერთ ძაღლს, რომელსაც სახელად ბარრი ერქვა. მთელი ათი წელიწადი ეს ძაღლი სენ-ბერნარის მონასტერში სცხოვრობდა, იგი ეძებდა და შემწეობას უწევდა მთებში გზა-დაკარგულ მგზავრებს. ამ ათის წლის განმავლობაში ბარრის ორმოცი კაცი გადაურჩენია სიკვდილისაგან. სხვათა შორის ერთხელ ამ კეთილმა ძაღლმა ერთ მიყრუებულ ადგილას თოვლში ჰნახა ნახევრად გაყინული ათის წლის ბავშვი. ბარრიმ გაათბო ბავშვი, გონს მოიყვანა, შემდეგ ზურგი მიუშვირა, შეისვა ზედა და მონასტერში მიიყვანა. თვით ბარრი ერთმა მგზავრმა მოჰკლა მთაში. ამ მგზავრმა, დაინახა რა უშველებელი ძაღლი, რომელიც მისკენ მირბოდა, იფიქრა, დაკბენას მიპირებსო, შეშინდა, რევოლვერი ამოიღო და ესროლა. ძეგლის ზემოდგან ბარრის ქანდაკება აქვს გაკეთებული: ზურგზედ ძაღლს ბავშვი აზის. ქვეშ ქანდაკებას აწერია: „კეთილმა ბარრიმ ორმოცი კაცი გადაარჩინა სიკვდილს და ორმოცდა მეერთედ თვით იქმნა მოკლულიო".

* * *

რამდენისამე დღის წინად პარიჟში, იმ ფარდულში, სადაც ახალის მოდის ტანისამოსია გამოკიდული, ნამდვილი ბრძოლა მომხდარა ქალებ შორის. ამ ფარდულ ყოველთვის უთვალავი მანდილოსანნი აწყდებიან. მაგრამ უფრო მეტად ფარდულს მკერავი ქალნი ეტანებიან თურმე. ამ ქალებით მუდამ სავსეა ფარული. ისინი არამც თუ ათვალიერებენ ვორტისა, რედერერნისა, რაუბპიცისა და სხვა შესანიშნავ ფირმათა ნაწარმოებს, არამედ ხშირად ახალ-მოდის კაბების გადახატვასაც სცდილობენ, რომ შემდეგ კარგად გამოიყენონ. ყოველთვის ამ მკერავ ქალებით ისეა ხოლმე სავსე ფარდული, რომ სხვა მანდილოსნებს ვეღარც-კი დაუთვალიერებიათ ტანისამოსი. ამას წინად მანდილოსანნი ორჯელ შესულან ფარდულში და ორჯელვე ვერ დაუთვალიერებიათ ნივთები. ბოლოს ისე გაჯავრებულან, რომ ხმა მაღლა საყვედური გამოუცხადებიათ მკერვალ-ქალებისათვის. ამ უკანასკნელთ სწყენიათ ესა და თავისს მხრითაც ცუდის სიტყვებით მოუხსენებიათ მანდილოსანნი. მალე სილების ტკაცა ტკუცი მოისმა თურმე ბოლოს-კი ნამდვილი ბრძოლა გამართულა. მოწინააღმდეგეთ ყოველგვარი „იარაღი" უხმარიათ ამ ბრძოლაში: ქინძისთავები, ლორ ეტები, სკამები, ქოლგები და სხვა. ასეთი ხმაურობა, წივილ-კივილი და ვაი-ვაგლახი ამტყდარა, რომ მანაკაცებს ძლივს შეუბედნიათ შიგ შესვლა. მაგრამ ვიდრე პოლიცია არ მისულა, ამ თავზედ ხელ-აღებულ მამაკაცებს მაინც ვერ მოუხერხებიათ მოწინააღმდეგეთა გაშველება, ამ ბრძოლიდგან ბევრი მანდილოსანი წასულა თურმე დაშავებულ-დასისხლიანებული.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი

**შანხაი.** ინცზეს ველის მეფის მოადგილეებმა გამოუცხადეს შანხაიში მყოფს კონსულებს, რომ, თუ მოკავშირეთ აზრადა აქვთ შანდუნში შევიდნენ, ვურჩევთ ამაზედ უარი სთქვან, რადგანაც უანშიხაი დღემდის დიდის ენერგიითა სცდილობდა თავისს პროვინციაში მეამბოხეთა მოძრაობა მოესპოო.

**შანხაი.** ამ მხარის შუაგულ ადგილში უწესოება არ შეწყვეტილა. ნამდვილად ირწმუნებიან, რომ ცზეჩუანში რამდენიმე ათასი მეამბოხეა. ცზეჩუანის მეფის მოადგილემ დეპეშით აუწყა ხ ნკოუს მეფის მოადგილეს, რომ მან ყოველივე ღონისძიება იხმაროს და მეამბოხენი ხუბეში არ გადაუშვას.

**პეკინი.** ლიხუნგ-ჩანგი უთუოდ სამშ ბათს მოვა აქ.

**შანხაი.** ტაოტაიმ შენმა გენერალის სუს დეპეშა მიიღო, რომლითაც იგი 10,000 კაცსა თხოულობს კვანსისა და იუნნანის სამხრეთ-დასავლეთით ამბოხების მოსასპობადა; სუს ამ ჟამად 30,000 ჯარის-კაცზედ მეტი ჰყავს.

**ჰონკონგი.** პოლიციამ „სამთა" საზოგადოების სამი წევრი შეიპყრო; მოელიან, რომ სხვებსაც შეიპყრობენ. აღნიშნული საზოგადოება გონკონგში იძენს წევრებსა.

**ბუდაპეშტი.** შაჰი რუსეთით სპარსეთში დაბრუნდა.

**ტიან ძინი.** რადგან უკვე გამოვიდა ბრძანება, რომ ექსპედიცია პაოტინფუს წავიდესო, 500 გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი და იტალიელი გადიან ტიან-ძინიდგან გენერალ ბაილოდელის უფროსობით და უერთდებიან იმ ჯარს, რომელიც გეზლის უფროსობით წავიდა პეკინიდგან. საფრანგეთის ოთხი ბატალიონი, რომელიც ამ ექსპედიციაში დამოუკიდებლად წავიდა ინცზუნიდგან 21 სექტემბერს, შეჩერებული იქმნენ გზაზედ, რათა მოუცადონ უმთავრესის ძალის მისვლას. ამერიკელები, რუსები და იაპონელები არ იღებენ ექსპედიციაში მონაწილეობას. ჩინელთა დარწმუნების წინააღმდეგ, მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარის უფროსებს მოლოდინი აქვთ, რომ წინააღმდეგობას გაგვიწევენო.

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ეს ჩემ მიერ გამოგზავნილი ოც-და-ხუთი (25) მანეთი ფული გადასცეთ მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტს.

კაზანჯიკის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი ი. ს. ნება...

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული ზირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

3 ოქტომბერი

ივანე ბებურიშვილისა, რომელსაც ... ღლის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ბესარიონ ინაკვაძისა — ქურდობის ჩადენა ბრალდება

ონისიმე გეგეჭკორის და მელიქ-ნუბაროვის, რომელთაც სასჯელ. დებ. მე ... მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ.

დრაგვამალ ავიცბასი — მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

7 ოქტომბერი

ივანე და ლევან ბაზარაშვილებისა, რომელთაც შეურაცხების მიყენება ჰბრალდებათ.

ანტონ ქიტუაშვილისა — კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ერმილე კოჩიაშვილისა — ნამალევად ტყის ხდის ბრალი ედება.


## განცხადებანი

მცხეთის ნაწილის ტყის მცველი

აცხადებს, რომ ოქტომბერში მოხდება

საქართ. ეგზარხოსის ხე-ტყის გასასყიდად

შემდეგ ტყეებისა: ჰოპორტისა — 4 ოქტომბერს სოფელს ჰოპორტაში, კარსანისხევისა — 6-ში სოფ. მცხეთას, ძეგვისა — 9-ში სოფელ ძეგვს.

საჭირო ცნობისათვის მსურველთ უნდა მიჰმართონ ტყის მცველთა ...

(2—144—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე